

რომანტიზმი – ტრანსეროვნული დიალოგი

დღესდღეობით ჩვენი ლიტმცოდნეობის წინაშე ქართული მწერლობის საერთაშორისო კონტექსტების გათვალისწინებით შესწავლა და მისი ინტერნაციონალიზაციის ამოცანა დგას. საქმეში ჩახედულთათვის სავსებით ცხადია, რომ მსოფლიო ლიტერატურის სურათი მრავალსაუკუნოვანი და მრავალფეროვანი ქართული მწერლობის გვერდის ავლით ნაკლები გამოვა. არადა, ამ მხრივ ვითარება კვლავაც – ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგაც – არასახარბიელოა. მსოფლიო ლიტერატურული პროცესების შესწავლა ჯერ კიდევ ქართული მწერლობის მონაცემთა სათანადოდ გათვალისწინების გარეშე მიმდინარეობს. ამ ვითარების სასიკეთოდ შეცვლას ემსახურება შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რამდენიმე ბოლოდრონდელი პროექტი, რომელთა შორის უწინარეს ყოვლისა უნდა მოვიხსენიოთ საერთაშორისო სიმპოზიუმები სახელწოდებით „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“, რომლებიც 2007 წლიდან ყოველწლიურად ტარდება და რომელთა პოპულარობა საერთაშორისო არენაზე სულ უფრო და უფრო იზრდება.

ამ სიმპოზიუმებზე წაკითხული მოხსენებების ორი კრებული ინგლისურ ენაზეც გამოვიდა კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობაში 2012 და 2016 წლებში (პირველი მათგანის თემა იყო „ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული პროცესი“, მეორისა – „ემიგრანტული ლიტერატურა“).

2018 წელს კი გერმანულმა გამომცემლობამ „Scholars' Press“-მა ინგლისურად გამოსცა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ მომზადებული კრებული „რომანტიზმი ლიტერატურაში. ეპოქათა და კულტურათა გზაჯვარედინზე“ – „Romanticism in Literature. On the Cross-road of Epochs and Cultures“. Irma Ratiani (Ed.) – , რომელსაც წინა, 2017 წელს ჩატარებული და ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან 200 წლისადმი მიძღვნილი ამავე სახელწოდების საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები დაედო საფუძვლად.

რომანტიზმმა, რომელიც წმინდად ევროპული მოვლენაა, უმაღლესი და თითქმის სრულყოფილი გამოვლინება ქართველ პოეტთაგან ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაში ჰპოვა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ სტატიების უმეტესობა სწორედ ბარათაშვილს ეხება, როგორც მის შემოქმედებას, ასევე ცხოვრებასაც.

კრებულის შემდგენელ-რედაქტორის ირმა რატიანის შესავალ წერილში, რომლის სათაურია „რომანტიზმი ევროპაში – ეროვნული საზღვრების შიგნით და მიღმა“, ვკითხულობთ:

„ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია არა მარტო ირეკლავს ევროპული და მსოფლიო რომანტიზმისთვის დამახასიათებელ ძირითად ესთეტიკურ პრინციპებს, არამედ მათ უთავსებს ეროვნული თვითშეგნებისა და ტრადიციების იდეას, რითაც რომანტიზმის გეოგრაფიულ რუკას განავრცობს ქართული ეროვნული ლიტერატურული მოდელის მიმართულებით“.

აი ამას – **რომანტიზმის გეოგრაფიული რუკის განვრცობას ქართული ეროვნული ლიტერატურული მოდელის მიმართულებით** – ემსახურებოდა ზემოხსენებული საერთაშორისო კონფერენციაც და, ბუნებრივია, ამავე მიზანს ისახავს მის ბაზაზე შექმნილი ეს კრებულიც.

ისიც სასვებით ცხადია, რომ ნაშრომთა უმეტესობა უპირველესი ქართველი რომანტიკოსის ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებას, მსოფლხედვასა და ბიოგრაფიულ მომენტებს ეძღვნება (ესენია: *ლევან ბრეგაძის „ნიკოლოზ ბარათაშვილის რომანტიზმის მარკერები“*, კონსტანტინე ბრეგაძის *„ნიკოლოზ ბარათაშვილის რომანტიკული ლირიკა როგორც ერთიანი ტექსტი“*, ანა ლეთოდიანის *„ლურჯი ფერის რეცეფცია ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის „ცისა ფერს“ მიხედვით“*, დოდო ჭუმბურიძის *„ნიკოლოზ ბარათაშვილის ეროვნული და პოლიტიკური ხედვის გააზრებისათვის („საფლავი მეფის ირაკლისა“)*, მაია ცერცვაძის *„ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილების პოეტური ლექსიკა“*, ეკა ვარდოშვილის *„მთვარის ხატება ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიასა და მსოფლიო რომანტიზმში“*).

ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდა საგანგებო ნაშრომი მხოლოდ მისი რომანტიკოსი ბიძის, გრიგოლ ორბელიანის პროზაულ თხზულებას ეძღვნება: *დარეჯან მენაბდე – „გრიგოლ ორბელიანის „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“ ქართული სამოგზაურო ლიტერატურის კონტექსტში“*.

აქვეა ნაშრომები, რომლებშიც ქართული რომანტიზმის ზოგადესთეტიკური თავისებურებანია კვლევის საგანი (თამარ ლომიძის *„ქართული რომანტიზმის პოეტიკა“*, ეკა ჩხეიძის *„რომანტიზმის ესთეტიკა და ყორანის სახე-სიმბოლო“*, ქეთევან ელაშვილის *„სევდის ესთეტიკა ნიკოლოზ ბარათაშვილთან“*).

ნიკოლოზ ბარათაშვილის საახლობლო წრეც არის კრებულის ავტორთა ინტერესის საგანი (ეკა ჩიკვაიძის *„სოლომონ დოდაშვილი და მე-19 საუკუნის ქართული მსოფლალქმა“*, ზაზა აბზიანიძის *„დისშვილი და ბიძანი მისნი (ნიკოლოზ ბარათაშვილის ურთიერთობა გრიგოლ, ზაქარია და ილია ორბელიანებთან)“*).

რამდენიმე სტატია ბარათაშვილის პოეზიის რეცეფციის საკითხებს ეხება მე-19-20 საუკუნეების ქართულ მწერლობასა და ლიტერატურის-მცოდნეობაში (მანანა კვატაიას *„ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური ფენომენის რეცეფციისათვის“*, მაია ნინიძის *„მეცხრამეტე საუკუნის ქართული*

ლიტერატურის მოსე და აარონი“, თამარ პაიჭაძის „რომანტიზმის რეცეფციისათვის ქართულ სიმბოლისტურ დისკურსში“, ნესტან კუტივაძის „ბარათაშვილის პოეტური ხატი სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებაში“, ნუგეშა გაგნიძის „ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“ რეცეფცია გივი მარგველაშვილის „მუცალში“, ია ბურდულის „რომანტიკული კოდების იმიტირება პოსტმოდერნისტულ ტექსტში“).

ნეორომანტიკული პროზის ნიშნებს ხედავს კახაბერ ლორია ვასილ ბარნოვის შემოქმედებაში (კახაბერ ლორია: „ნეორომანტიზმი ვასილ ბარნოვის შემოქმედებაში“).

ნაშრომთა ერთი ნაწილი ეძღვნება ტიპოლოგიურ პარალელებსა და თემატურ კავშირებს ქართული რომანტიზმის ტექსტებსა და იმდროინდელ თუ ადრეულ კულტურულ-მსოფლმხედველობრივ მოვლენებსა თუ მოძღვრებებს შორის (ზოია ცხადაიასა და თამარ ციციშვილის „აშულურ-ქალაქური ტექსტის რეპრეზენტაცია ქართულ რომანტიზმში“, მაია ჯალიაშვილის „ბარათაშვილის პოეზია კირკეგორისეული „ან-ან“ ფილოსოფიის კონტექსტში“, მაია ნაჭყეაძის „ბაროკოს ლამენტაციები და რომანტიზმის რეფლექსიები“).

სახლვარგარეთის ქვეყნების რომანტიკული მწერლობისა და რომანტიკოსების შესახებ, ბუნებრივია, კრებულში წარმოდგენილი უცხოელი ავტორები – რუსი, უკრაინელი, ბელარუსი, ლიეტუველი, ჰონგ-კონგელი, მაკედონიელი და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში მოღვაწე მკვლევარები – წერენ, მაგრამ რამდენიმე ქართველი მეცნიერიც მოგვევლინა ევროპულ, ამერიკულ და რუსულ რომანტიზმთან დაკავშირებული ძიებების ავტორად (მანანა გელაშვილი – „მადიებელი გმირის ინტერპრეტაცია ინგლისური რომანტიზმის პოეზიაში“, ნინო პოპიაშვილი – „რომანტიზმის კულტურული მარკერები: დასავლეთი და აღმოსავლეთი (ფრიდრიხ რიუკერტის პოეზიის მსოფლმხედველობრივი ასპექტები)“, მაკა ელბაქიძე – „ვილიამ ვილსონი და მისი ორეული“, ია ზუმბულიძე და ვ. კვანტრე – ნეო-რომანტიკული ტენდენციები თანამედროვე რუსი მწერლების ნაწარმოებებში“).

აი ასეთია ქართველ ავტორთა წვლილი ამ კრებულში. მათი აქ წარმოდგენილი ნაშრომების მეშვეობით, ვფიქრობთ, უცხოელი მკითხველი ირწმუნებს იმას, რაც კრებულის შემდგენელ-რედაქტორის ირმა რატიანის წინასიტყვაობაში ამგვარად არის ფორმულირებული: „ქართული ლიტერატურა, ბევრი სხვა ევროპული ქვეყნის ლიტერატურის მსგავსად, წარმატებით მონაწილეობდა რომანტიზმის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში“.

Levan Bregadze
(Gergia)

**Romantism –
Transnational Dialogue**

Summary

In 2018 German publishing house – “Scholars’ Press” – published a book in english entitled Romanticism in Literature: On the Cross-road of Epoques and Cultures (Editor Irma Ratiani), which was prepared by Shota Rustaveli Institute of Georgian Literature. The book was based on materials of International Symposium held in 2017 and was dedicated to the 200th birth anniversary of prominent Georgian romantic poet Nikoloz Baratashvili

The majority of articles of the book deal with Georgian romanticism. They help foreign readers to comprehend characteristics of Georgian version of this literary movement and to understand, that Georgian literature successfully participated in the process of establishment and development of Romanticism.